



საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება № 498

11 08 2017წ.

ქ. თბილისი

ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის დამატების, შეცვლის ან ამოღების მოთხოვნით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის მიმართვის ვადების განსაზღვრის, ფორმისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) კვალიფიკაციების განვითარების სამმართველოს უფროსის 2017 წლის 10 აგვისტოს №929995 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებული „კვალიფიკაციის ფორმირების წესის“ (დანართი №5) პირველი მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის დამატების, შეცვლის ან ამოღების მოთხოვნით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის მიმართვის ვადების განსაზღვრის, ფორმისა და განხილვის წესი ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის დამატების, შეცვლის ან ამოღების მოთხოვნით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების

002127

ეროვნული ცენტრისათვის მიმართვის ვადების განსაზღვრის შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2014 წლის 07 მარტის №111 ბრძანება.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის დამატების, შეცვლის ან ამოღების მოთხოვნით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის მიმართვის ფორმისა და მისი განხილვის წესის განსაზღვრის შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2014 წლის 07 მარტის №112 ბრძანება.

4. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების, მათ შორის, ამ ბრძანების დაინტერესებული მხარეთათვის გაცნობის უზრუნველყოფა.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი


თამარ სანიციძე

შემსრულებელი:

სამართალშემოქმედების სამმართველოს კოორდინატორი

თარიღი: /11.08.17/  /გიორგი ივანიძე/

შეთანხმებულია:

იურიდიული სამსახურის უფროსი

თარიღი: /11.08.17/  /ნინო ბეგიაშვილი/

კვალიფიკაციების განვითარების სამმართველოს უფროსი

თარიღი: /11.08.17/  /ნინო ბერელიძე/

ხელმოწერის თარიღი : /11.08.17/